



#5 (37), მაისი, 2010

### იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

#### კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

#### კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: [legalclinic@civilin.org](mailto:legalclinic@civilin.org)

ვებ-გვერდი: [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare)

ყოველთვიურ ელექტრონულ  
გამოცემას აშუადებს  
სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: [www.civilin.org](http://www.civilin.org)

## სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს შექმნის პროექტის ფარგლებში აცხადებს

### საგრანტო კონკურსს ინსტიტუციონალური განვითარებისთვის



#### კონკურსის მიზანი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი „სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს შექმნის“ პროექტის ფარგლებში აცხადებს საგრანტო კონკურსს ინსტიტუციონალური განვითარებისთვის.

კონკურსის მიზანია საქართველოში ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური მდგრადობის და განვითარების ხელშეწყობა.

#### კონკურსში მონაწილეობა:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ ზრუნვაზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებსაც ამ სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება აქვთ.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

საგრანტო კონკურსი ინსტიტუციონალური განვითარებისთვის

(გაგრძელება)

კონკურსის პირობები:

- საგრანტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ დადგენილი ფორმატით (იხ. <http://civilin.org/guidelines.doc>) სამ ეგზემპლარად;
- რეგიონულ ორგანიზაციებს ეძლევათ საშუალება საგრანტო განაცხადი წარმოადგინონ ელექტრონული სახით. ელექტრონულად გამოგზავნილი პროექტები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ დოკუმენტაციის მიღების დადასტურების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზიები არ მიიღება.
- მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ევროს. პროექტის საერთო ბიუჯეტი შესაძლოა აღემატებოდეს ამ თანხას, თუ არსებობს დაფინანსება სხვა წყაროებიდან. ამ შემთხვევაში განაცხადს უნდა ერთვოდეს დამატებითი ფინანსური წყაროს დამადასტურებელი დოკუმენტი.

გარდა განაცხადის ფორმით გათვალისწინებული კომპონენტებისა იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- უნდა მიეთითოს პროექტის დირექტორის, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრებისა და მონაწილეების ბიოგრაფიები (CV), პროექტის განხორციელებისას მათი პასუხისმგებლობებისა და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მითითებით;
- თუ პროექტით გათვალისწინებულია ექსპერტების მოწვევა, საჭიროა მიეთითოს მათი ვინაობა, პროფესიული გამოცდილება, რა საკითხებზე იმუშავებენ, რა დროით და ა.შ. ასევე პროექტს უნდა ახლდეს მათგან თანხმობის წერილი; არასრული განაცხადი ჩაითვლება ტექნიკურად გაუმართავად და არ განიხილება.

წარმოდგენილი განაცხადი (პროექტი) განმცხადებელს არ დაუბრუნდება. პროექტის შედეგები გამოქვეყნდება პროექტის ვებ გვერდზე [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare).

კონკურსში მონაწილეთა საპროექტო განაცხადები მიიღება 2010 წლის 14 ივნისის 17:00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: 26 მაისი მოედანი #2 V სართული ან ელ ფოსტით (რეგიონალური ორგანიზაციებისათვის): [ia@civilin.org](mailto:ia@civilin.org).

საკონტაქტო პირი:

ია გაბუნია  
ტელ: 94 16 05; 33 04 17  
ელ ფოსტა: [ia@civilin.org](mailto:ia@civilin.org)



• თქვენ ყოველთვის უნდა ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: [welfare@civilin.org](mailto:welfare@civilin.org)

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენს გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ

გამოფენა-გაყიდვა



5 მაისს სოციალური თერაპიის სახლის ულამაზეს ბაღში, თერაპიის სახლის ბენეფიციარების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. თერაპიის სახლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 55 მოზრდილს დღის მომსახურებას უწევს და ბენეფიციარებიც ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) დადიან „სახლში“, სწორედ ასე უწოდებენ თერაპიის სახლს, სადაც თერაპიის ფარგლებში, სახლთან არსებულ სახელოსნოებში ლამაზ ნივთებს ქმნიან – მიძივებს, სანთლებს, თექის ყელსაბამებს, ფარგდაგებს, ხისგან დამზადებულ სხვადასხვა ნივთებს. ამ ნივთების გამოფენა-გაყიდვა უკვე ტრადიციად იქცა – სახლის პერსონალი და ბენეფიციარები წელიწადში ორჯერ აწყობენ ღონისძიებას, სადაც საკუთარი ხელით დამზადებულ ნივთებს წარადგენენ და გამსპინძლობენ.

მათ ვინც ვერ მოახერხა გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა და ჯერ ვერ მოახერხა სურნელოვანი სანთლების ან ჰერბარიუმით გაწყობილი მისალოცების, სასაჩუქრე, სამახსოვრო ყუთების, გობელენების თუ სხვა ლამაზი ექსკლუზიური ნივთის შექმნა შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სოციალური თერაპიის სახლს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები უბილაძეების ქ.#8, ტელეფონი 77 63 07. 77 54 85, ელ-ფოსტა: [info@apnsc.ge](mailto:info@apnsc.ge)

ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი მხარდაჭერით 2007 წელს ჩატარდა საქართველოში ურბანული ქუჩის ბავშვების კვლევა.

გთავაზობთ ამონარიდებს კვლევიდან

2007 წელს ფედერაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ ურბანული ქუჩის ბავშვების კვლევა 4 ქალაქში – თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში ჩატარა. ოთხივე ქალაქში 2007 წლის ნოემბერში წერტილოვანი შეფასების შედეგების მიხედვით იყო 1049 ბავშვი, მაქსიმალური მიახლოებითი რაოდენობა 1600 ბავშვი. კვლევა არ მოიცავდა ისეთ „ქუჩის ბავშვებს“, რომლებიც ბავშვთა ცენტრებში, თავშესაფრებში ან სხვა ტიპის დაწესებულებებში იმყოფებოდნენ.

**თბილისი** – დედაქალაქში, სხვა ქალაქებთან შედარებით ყველაზე მეტი „ქუჩის ბავშვია“. მათი რაოდენობა, წერტილოვან შეფასებაზე დაყრდნობით, საშუალოდ 600 და მაქსიმუმ 950 აღწევს.

**რუსთავი** – წერტილოვან შეფასებაზე დაყრდნობით, ქუჩის ბავშვების საშუალო რაოდენობა 100, ხოლო მაქსიმუმ 150.

**ქუთაისი** – წერტილოვან შეფასებაზე დაყრდნობით, ქუჩის ბავშვების საშუალო რაოდენობა 200, ხოლო მაქსიმუმ 325.

**ბათუმი** – წერტილოვან შეფასებაზე დაყრდნობით, ქუჩის ბავშვების საშუალო რაოდენობა 100, ხოლო მაქსიმუმ 150.

## ფორუმი ინვალიდობის თემაზე

**14 ივნისი, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს გაიმართება ფორუმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ თემაზე.**

ღონისძიება გაიმართება აშშ-ს განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის – „თანაბარი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის“ – ფარგლებში. რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან – კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და „პირველი ნაბიჯი საქართველოსთან“ ერთად.

მოეწყება ფოტოების გამოფენა, სოციალური კლიპების, სტატიების, დოკუმენტური ფილმების, ტელერეპორტაჟების, პროექტებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესების დაცვაზე მიმართული აქტივობების პრეზენტაციები. ასევე გაიმართება „მრგვალი მაგიდის“ ფორმატის დისკუსიები ჯანდაცვის, განათლების, ინკლუზიური გარემოსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების თვითრეალიზაციის საკითხებზე.

ღონისძიების დასასრულს საუკეთესო ნამუშევრების ავტორებისა და წლის ინტერესთა დამცველის სახეიმო დაჯილდოვება გაიმართება.

**დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა\პირებმა 2010 წლის 31 მაისამდე მიმართეთ –კოალიციას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის**

**მისამართი: კედიას ქ.7.**

**ტელეფონი: 35-66-09, ელ-ფოსტა: [office@disability.ge](mailto:office@disability.ge);**

**ვებ-გვერდი: [www.disability.ge](http://www.disability.ge)**

### კონფერენცია

ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, 29 აპრილს გაიმართა კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილი იყო პროექტის შედეგების მიმოხილვა, ბავშვთა კეთილდღეობის სახელმწიფო სამოქმედო გეგმის მიღწევები და მიმოხილვა, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების – მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პრინციპები, საერთაშორისო ტენდენციები სოციალურ სამუშაოებში, საქართველოში ბავშვებთან და ოჯახებთან მიმდინარე სოციალური სამუშაოების განვითარება. კონფერენცია ასევე მოიცავდა სემინარებს ისეთ საკითხებში, როგორცაა სოციალური საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, სოციალური სამუშაოს სწავლება, განვითარება, სტანდარტების განხორციელება – ლიცენზირება და რეგულირება და ა.შ. კონფერენციაზე ასევე წარმოდგენილ იქნა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის სამომავლო გეგმები. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო, დონორი და სფეროში მომუშავე ორგანიზაციების. საქართველოს ხელისუფლების როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები.